79200000

ხელშეკრულება აუდიტორული მომსახურების შესახებ № 1101/27/04 N6

ქ. თბილისი

27 იანვარი 2011 წელი

ერთის მხრივ სსიპ „ჰეიდარ ალიევის სახელობის თბილისის სახელმწიფო აზერბაიჯანული დრამატული თეატრი" შემდგომში წოდებული როგორც „დამკვეთი", მისი მმართველის გოჩა კაპანაძის სახით და მეორეს მხრივ შპს „დამოუკიდებელ შემფასებელთ და აუდიტორთა კომპანია აუდიტესკორტი", მისი დირექტორის, მინდია ტაბაღუას სახით, შემდგომში წოდებული როგორც „შემსრულებელი", ერთად წოდებული „მხარეები" ვთანხმდებით და ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. დამკვეთი ავალებს, ხოლო შემსრულებელი კისრულობს, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობისა და აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (IFAC) შესაბამისად ჩაატაროს ფინანსური ანგარიშგების აუდიტი და გასცეს აუდიტორული დასკვნა;

1.2. შესამოწმებელი პერიოდი განისაზღვროს 2010 წლის 01 იანვრიდან 2010 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

1.3. აუდიტის მიზანს წარმოადგენს დამკვეთის ფინანსურ ანგარიშგებაზე (2010 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით) დამოუკიდებელი აუდიტორის აზრის გამოხატვა.

2. მხარეთა უფლებები და ვალდებულებები

2.1. შემსრულებელი:

2.1.1. დაიწყოს შემოწმება დამკვეთის მიერ დოკუმენტაციის წარმოდგენიდან სამი დღის განმავლობაში და დაამთავროს 2010 წლის 12 თებერვლამდე.

2.1.2. მოქმედი კანონმდებლობის ნორმების, საერთაშორისო სტანდარტების, დამკვეთთან დადებული ხელშეკრულების პირობების, პროფესიული ცოდნისა და გამოცდილების საფუძველზე ჩაატაროს აუდიტორული შემოწმება.

2.1.3. დამოუკიდებლად განსაზღვროს აუდიტის მასშტაბი, აუდიტის ჩატარების ფორმები და მეთოდები, მოითხოვოს ყველა დოკუმენტი და განმარტება, რომლებიც საჭიროა ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ხარისხიანად ჩასატარებლად.

2.1.4. მიიღოს დამკვეთის, ან მესამე პირების ხელთ არსებული ყველა საჭირო დოკუმენტი, რომლებიც შეეხება აუდიტის საგანს;

2.1.5. საიდუმლოდ შეინახოს აუდიტორული შემოწმების დროს მიღებული ინფორმაცია, არ გაახმაუროს საიდუმლობის შემცველი ცნობები, არ გამოიყენოს ისინი თავისი, ან მესამე პირის ინტერესებისათვის;

2.1.6. ამ ხელშეკრულებით დადგენილ ვადებში წარუდგინოს „დამკვეთს“ აუდიტორული დასკვნა ფინანსური ანგარიშგების შესახებ და ანგარიში გამოვლენილი ნაკლოვანებების შესახებ;

2.1.7. აუდიტორული საქმიანობის განხორციელებისას დაიცვას საქართველოს კანონმდებლობა, საქართველოში მოქმედი აუდიტორული სტანდარტები, დებულებები და ნორმატიული აქტები;

2.1.8. აცნობოს დამკვეთსს აუდიტის ჩატარებისას გამოვლენილი დარღვევა ნაკლოვანებების შესახებ.

2.2. **დამკვეთი:**

2.2.1. შემსრულებელს დროულად გადასცეს აუდიტის ჩასატარებლად საჭირო დოკუმენტაცია, რომლის უტყუარობაზე, სისრულეზე და შესაბამისობაზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს;

2.2.2. საჭიროების შემთხვევაში დამკვეთის ხელმძღვანელობამ წერილობით დაადასტუროს აუდიტთან დაკავშირებული ოფიციალური ინფორმაცია.

2.2.3. აუცილებლობის შემთხვევაში უზრუნველყოს შემოწმების პერიოდში წამოჭრილ სადავო საკითხებთან დაკავშირებით თავისი თანამშრომლების, მესამე პირების დასწრება და მათთან არსებული დოკუმენტაციის წარმოდგენა;

2.2.4. დროულად აანაზღაუროს აუდიტორის მომსახურების საფასური ამ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

3. მომსახურების ღირებულება და ანგარიშსწორების წესი

3.1. აუდიტორის მიერ ამ ხელშეკრულებით გაწეული მომსახურების ღირებულება შეადგენს 500 (ხუთასი) ლარს;

3.2. ხელშეკრულებით განსაზღვრული თანხის ანაზღაურება (უნაღდო ანგარიშსწორებით) განხორციელდეს დასკვნის გაცემიდან და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 5 დღის ვადაში.

3.3. გაწეული მომსახურების საერთო ღირებულება შეიცავს შემსრულებლის ყველა ხარჯებს, დაკავშირებულს მომსახურების გაწევასთან, აგრეთვე კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს.

3.4. ფასების შეცვლა შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

3.5. ფასების ცვლილების შესახებ ამ ხელშეკრულების მხარემ (ინიციატორმა) უნდა შეატყობინოს მეორე მხარეს წერილობით 5 დღით ადრე. თუ მხარეები არ შეატყობინებენ ერთმანეთს ფასების ცვლილების შესახებ, ფასი რჩება უცვლელი.

4. მხარეთა პასუხისმგებლობა

4.1. ერთ-ერთი მხარის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არასათანადოდ შესრულების შემთხვევაში, ზიანის მიმყენებელი მხარე დაზარალებულ მხარეს ზარალს უნაზღაურებს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით;

4.2. მხარეთა ქონებრივი პასუხისმგებლობის მოცულობა არ შეიძლება აღემატებოდეს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხის ოდენობას;

4.3. ორივე მხარე უფლებამოსილია მოშალოს ეს ხელშეკრულება ცალმხრივად, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავის ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას ან მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევაში, რაზეც მხარემ უნდა შეატყობინოს მეორე მხარეს 5 დღით ადრე.

4.4. ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით;

4.5. აუდიტის ტესტური ხასიათიდან და სხვა თანმდევი შეზღუდვების გამო, აგრეთვე ბუღალტრული აღრიცხვისა და შიდა კონტროლის სისტემების თანდაყოლილი შეზღუდვების გათვალისწინებით, არსებობს გარდაუალი რისკი იმისა რომ აუდიტის პროცესში ვერ იქნება აღმოჩენილი ზოგიერთი არსებითი უზუსტობა.

4.6. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ვალდებულების შესრულების ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.1%-ის ოდენობით.

5. ფორს-მაჟორი

5.1. ხელშეკრულების პირობების, ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა, არასათანადოდ შესრულება ან დარღვევა და არ გამოიწვევს ზიანის ანაზღაურებას;

5.2. ამ ხელშეკრულების მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული „დამკვეთისა ან/და „შემსრულებლის" შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და სხვა;

5.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს წერილობით მეორე მხარეს ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

12. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერა

შემსრულებელი:
შპს „დამოუკიდებელ შემფასებელთა და აუდიტორთა კომპანია აუდიტესკორტი"
მის: ქ. თბილისი, ალექსიძის ქ. კვარტალი 1, კორპუსი 1, სადარბაზო 2, ბინა 4/5
ტელ: (8-22) 144 – 500
ელ.ფოსტა: info@auditescort.ge
ბანკის რეკვიზიტები:
ს.ს. „კორსტანდარტბანკი" ც.ფ
კოდი: AGREGE22
ა/ანგარიში: №488886
საიდენტიფიკაციო № 205229439

ხელმოწერა/ბეჭედი:
/მ.ტაბაღუა/

AUDITESCORT
205229439

დამკვეთი:
სსიპ „ჰეიდარ ალიევის სახელობის თბილისის სახელმწიფო აზერბაიჯანული დრამატული თეატრი"
მის: ქ. თბილისი, მთაწმინდა-კრწანისის რაიონი, ვახტანგ გორგასლის ქ. N1.
ტელ: (8-22) 72-47-25
ბანკის რეკვიზიტები:
სს „პროკრედიტბანკი"-ს სადგურის ფ.
კოდი: MIBGGE22
ა/ანგარიში: N3408011100004
საიდენტიფიკაციო N 204454811

ხელმოწერა/ბეჭედი:
/გ. კაპანაძე/

ხელწერილი

ინტერესთა კონფლიქტის არ არსებობის შესახებ

ქ. თბილისი „27" „დეკემბერი" 2011 წელი

ჩვენ, ქვემოთ ხელისმომწერნი ვადასტურებთ, რომ აუდიტორული მომსახურებების შესყიდვის განხორციელებასთან დაკავშირებით, ჩვენი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს 2005 წლის 20 აპრილის კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნებს და შესყიდვაში მონაწილეობით ინტერესთა კომფლიქტში არ ვიმყოფებით.

ქ. თბილისის აზერბაიჯანული დრამატული თეატრის
მმართველი
გოჩა კაპანაძე –

ქ. თბილისის აზერბაიჯანული დრამატული თეატრის
სახელმწიფო შესყიდვების კოორდინატორი
ლ. ქართლელიშვილი –